

22.07.2017

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის მეორე განცხადება აზერბაიჯანელი ჟურნალისტის, აფგან მუხთარლის საქმეზე

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრი ორგანიზაციები ვგმობთ აზერბაიჯანელი ჟურნალისტისა და აქტივისტის, აფგან მუხთარლის სავარაუდო გატაცების ფაქტს. დაზარალებულის და მისი ადვოკატის განცხადებით, იგი თბილისში ქართულენოვანმა პირებმა დააკავესდა აზერბაიჯანის საზღვარზე უკანონოდ გადაიყვანეს. ამასთანავე, მას აღენიშნება მრავლობითი ფიზიკური დაზიანებები.

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ქვეყნის ოფიციალური პირები, საერთაშორისოუფლებადამცველი ორგანიზაციები, ევროკავშირი, სამოქალაქო საზოგადოება და მათ შორის საქართველოს ეროვნული პლატფორმა მრავალგზისმოუწოდებდა საქართველოს მთავრობას, სრულყოფილად, გამჭვირვალედ და დროულად გამოეძიებინაჟურნალისტის საქმეგამოძიება ჭიანურდება და დეტალური ინფორმაცია საზოგადოებისთვის ისევ უცნობია. აზერბაიჯანელი ჟურნალისტი კი კვლავ პატიმრობაში იმყოფება.

ამასთანავე, ევროპარლამენტის მიერ აფგან მუხთარლის საქმეზე მიღებულ სპეციალურ რეზოლუციაშიც ხაზგასმულია, რომ მნიშნელოვანია საქართველოს ხელისუფლებამ ნათელი მოჰფინოს ყველა იმ ეჭვს, რომელიც უკავშირდება საქართველოს უსაფრთხოების სამსახურების ჩართულობას ძალის გამოყენებით ჟურნალისტის გაუჩინარებაში, მოუწოდებს ხელისუფლებას დაიცვას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით ნაკისრი ვალდებულებები და უზრუნველყოს, მუხთარლის საქართველოში, საკუთარ ოჯახში დაბრუნება.

საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრი ორგანიზაციები მივიჩნევთ, რომ გამოძიებას ჰქონდა საკმარისი დრო საქმის ობიექტური და დეტალური გამოძიებისთვის, თუმცა პროცესიცალსახად ფერხდება, რაცლახავს ქვეყნის

იმიჯსსაერთაშორისო საზოგადოების წინაშე და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ადამიანის უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვას საქართველოში, რაც თავის მხრივ, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ქვეყნის კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული, დემოკრატიული, ღირსეული განვითარების გზაზე.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ხელმომწერი ორგანიზაციები მოვითხოვთ დაუყოვნებლივ მოხდეს საზოგადოების დეტალური ინფორმირება გამოძიების მიმდინარეობის შესახებ, ობიექტურად იქნას გამოძიებული აფგან მუხთარლის საქმე და დაისაჯონ დამნაშვეები.ამასთანავე, საქმისადმი არსებული მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, მივმართავთ ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს, უზრუნველყოს შესაბამისი უწყებების პირველი პირების დაბარება და მათი მოსმენა კომიტეტზე მუხთარლის საქმესთან დაკავშირებით.ხოლო საქართველოს პარლამენტმაგამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა ინსტრუმენტი, მათ შორის დროებითი საგამოძიებო კომისია, რათა დროულად გაეცეს პასუხები აღნიშნული საქმის ირგვლივ არსებულ შეკითხვებს.

ხელმომწერი ორგანიზაციები :

1. ლიბერალური აკადემია თბილისი
2. თავისუფალი არჩევანი
3. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
4. ევროპის ფონდი
5. ფონდი ”ღია საზოგადოება -საქართველო”
6. რონდელის ფონდი
7. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
8. საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
9. საქართელოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია
10. ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი
11. მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი
12. კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი
13. მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
14. სტუდია რე
15. ახალგაზრდული ალტერნატივა
16. საქართველოს რეფორმების ასოციაცია
17. საზოგადოებრივი განვითარების აკადემია
18. საქართველოს გეოსტრატეგიული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის კვლევების ინსტიტუტი

19. ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო
20. სამოქალაქო განვითარებისა და ადამიანის უფლებათა ცენტრი
21. ასოციაცია "სკოლა-ოჯახი-საზოგადოება"
22. ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსთვის
23. საქართველოს პრესის ასოციაცია
24. წამების, ძალადობისა და გამოხატული სტრესული ზემოქმედების მსხვერპლთა ფსიქო - რეაბილიტაციის საერთაშორისო ცენტრი “ემპათია“
25. ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი
26. გადავაჩინოთ მომავალი თაობა
27. პრესის საერთაშორისო ინსტიტუტის საქართველოს კომიტეტი
28. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი
29. ასოციაცია „თანხმობა“
30. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია
31. ასოციაცია ,,დეა“
32. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
33. ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო
34. სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი "თაობათა დიალოგი"
35. ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი
36. თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი
37. საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
38. ადამიანის უფლებათა ცენტრი
39. სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურსცენტრი
40. რეპატრიანტთა კავშირი
41. ახალგაზრდული ასოციაცია დრონი
42. კვლევების ტექნოლოგიების და ინოვაციების ხელშემწყობი საერთაშორისო ცენტრი
43. სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი
44. საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია
45. კულტურულ ჰუმანიტარული ფონდი "სოხუმი"
46. მეგობრობის ხიდი ქართლოსი
47. საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრი
48. კავშირი გარემოს დაცვის საერთაშორისო კვლევითი ცენტრი
49. დემოკრატიულ ინიციატივათა საერთაშორისო ცენტრი
50. ფონდი "კავკასიის ეკოლოგია"
51. კონსტიტუციის 42-ე მუხლი
52. მეწარმე ქალთა ფონდი
53. სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი
54. მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია
55. ასოციაცია "იმედი" დევნილ ქალთა მოძრაობა მშვიდობისათვის
56. მეწარმე ქალთა ფონდი
57. ქალთა პოლიტიკური რესურს ცენტრი

58. საქართველოს რკინიგზელთა ახალი პროფესიული კავშირი
59. საქართველოს ასოციაცია ”ქალი და ბიზნესი”
60. ასოციაცია ათინათი
61. ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი
62. ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“
63. კავკასიური მოზაიკა
64. პედაგოგთა კავშირი ,,განათლება და სამყარო“
65. ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო